№2578 2015 წლის 2 დეკემბერი ქ. თბილისი

„ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ გათვალისწინებული გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტის საქართველოს მხარის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლისა და „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ 2014 წლის 27 ივნისის შეთანხმების 179-ე მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტის საქართველოს მხარე შემდეგი შემადგენლობით:

ნიკოლოზ გოგილიძე	-	სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარე, ქვეკომიტეტის თავმჯდომარე;
მანანა ფრუიძე	-	სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ქვეკომიტეტის მდივანი;
თენგიზ კალანდაძე	-	სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე;
მარიამ გორდაძე	-	სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის მცენარეული წარმოშობის სურსათისა და სასმელი წყლის სამმართველოს უფროსი;
ზურაბ ზურაშვილი	-	სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის ევროპასთან ჰარმონიზაციის სამმართველოს უფროსი;
მზია კუზნეცოვა	-	სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის მცენარეული წარმოშობის სურსათისა და სასმელი წყლის სამმართველოს უფროსის მოადგილე;
თათია კერესელიძე	-	სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
გიორგი გელოვანი	-	სსიპ - შემოსავლების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა

		დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
მარიამ გაბუნია	-	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
თეა კუნჭულია	-	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან ურთიერთობისა და სავაჭრო მოლაპარაკებების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

2. განკარგულება ძალაშია 2015 წლის 24 ნოემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**